საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თანიაშვილი სულხან ავთანდილი ძე

თანიაშვილი სულხან ავთანდილის ძე, XVII ს. პოეტი, ქართლის სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი. არჩილ II-ის ცნობით, განსწავლული პიროვნება და ცნობილი პოეტი ყოფილა. XVII ს. იტალიელი მისიონერისა და მხატვრის კრისტოფორო დე კასტელის ალბომში მოთავსებულ თ-ის პორტრეტზე წარწერილია: „იბერია-კოლხეთის სამეფოში განთქმული პოეტი სულხან ავთანდილაშვილი". თ-ის თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გალექსილმა „ამირანდარეჯანიანმა" ერთადერთი დეფექტური ნუსხით (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, შ–357). თხზულებას თან ერთვის ავტორისეული შესავალი ტრად. მსჯელობითურთ მიჯნურობაზე, პოეზიაზე, პროზასთან შედარებით ლექსის უპირატესობაზე და ა.შ. გალექ-სილი ვერსიის დასრულება თ-ს არ დასცალდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს საქმე მისმა ძმამ ბეგთაბეგმა ითავა. ძეგლის ძირითადი ნაწილი სულხანის გალექსილია; რუსთველისა და თეიმურაზ I-ის ტრადიციების მიმდევარმა თ-მა შეძლო საკმაოდ ოსტატური თხზულების შექმნა.

ლ. კეკელიძე